# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №743

# 2014 წლის 30 დეკემბერი

# ქ.თბილისი

## საქართველოს დაზვერვის სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნუსხის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

„საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს დაზვერვის სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ნუსხა, თანდართული დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

### საქართველოს დაზვერვის სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ნუსხა

**1. ცეცხლსასროლი იარაღი:**

ა) პისტოლეტი, რევოლვერი;

ბ) პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი;

გ) ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი;

დ) ხელის ტყვიამფრქვევი;

ე) ტყვიამფრქვევი;

ვ) შაშხანა;

ზ) სნაიპერული შაშხანა;

თ) ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნი;

ი) ყუმბარმტყორცნი.

**2) საბრძოლო მასალა:**

ა) პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ცეცხლსასროლი იარაღებისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა;

ბ) ხელყუმბარა.